გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება N xxxx

თარიღი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 გამსესხებელი

საფირმო სახელწოდება:	შპს კაპიტალექსპრესი
საიდენტიფიკაციო კოდი:	404432028
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.7
წარმომადგენლის თანამდებობა,	დირექტორი
ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი:	contact@capitalexpress.ge; 2 430 432

1.2 მსესხებელი

მსესხებელის რეკვიზიტები

1.3. შპს კაპიტალექსპრესი და **მსესხებელის დასახელება** (შემდგომში - მხარეები) წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების დადებით გამოვხატავთ ნებას ურთიერთობა ავაგოთ ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით და უზრუნველყოთ: შპს კაპიტალექსპრესის მიერ მსესხებლის“ მომსახურების სისწრაფე, ხოლო მსესხებლის“ მხრიდან კრედიტების დროული და სრული დაბრუნება. ასევე, ამ ხელშეკრულებით განვსაზღვრავთ იმ უზრუნველყოფას, რაც გამოყენებული იქნება „მსესხებლის“ მიმართ შპს კაპიტალექსპრესის მოთხოვნების სრულად უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებას (შემდგომში გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით შპს კაპიტალექსპრესი ადგენს საკრედიტო (სესხის) თანხის გაცემის წესს, ლიმიტს, ვადას და პროცენტს, რის ფარგლებშიც ცალკეული საკრედიტო მოთხოვნის განხილვისა და დამტკიცების გზით „მსესხებლისთვის“ გასწევს სასყიდლიან მომსახურებას ხაზის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების დადების გზით, რაც გაიცემა ამ ხაზის მომსახურების მიზნით დადებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებებით (შემდგომში - შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება). „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებები“, მათი დანართების გათვალისწინებით, დადებისთანავე განიხილება როგორც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

მუხლი 3. საკრედიტო ხელშეკრულების საერთო პირობები

3.1. ერთიანი საკრედიტო ლიმიტი:	X ლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
3.2. ამოქმედების თარიღი:	თარიღი
3.3. საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა:	120თვე
3.4.მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი:	ეფექტური 50%-მდე
3.5. მოქმედების ვადა:	თარიღი

მუხლი 4. კრედიტის საბაზისო პირობები

4.1. კრედიტის საბაზისო პირობები შეადგენს შემდეგს:

ა) კრედიტით სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

ბ) „მსესხებლის“ მიერ საკრედიტო ვალდებულების დასაფარავად შპს კაპიტალექსპრესისთვის გადახდილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში იფარება დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ კრედიტზე დარიცხული პროცენტი და შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა, შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ შეცვალოს თანხების დაფარვის რიგითობა. რამდენიმე კრედიტის არსებობისას შპს კაპიტალექსპრესი თვითონ წყვეტს რომელი საკრედიტო ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს „მსესხებლის“ მიერ შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან;

გ) „მსესხებელი“ მოვალეა საკრედიტო ვალდებულებები შეასრულოს შპს კაპიტალექსპრესთან შეთანხმებული გრაფიკის დაცვით. ამასთან, „მსესხებელი“ ვალდებულია საპროცენტო სარგებელი დაფაროს ყოველთვიურად, თუ გრაფიკით დაფარვის სხვა წესი არ იქნა შეთანხმებული;

მუხლი 5. საკრედიტო ვალდებულების შეთანხმებული უზრუნველყოფა

5.1. შპს კაპიტალექსპრესის წინაშე „მსესხებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად შპს კაპიტალექსპრესის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით დადებული ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) წარმოადგენენ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

5.2. შპს კაპიტალექსპრესის მოთხოვნები „მსესხებლის“ მიმართ უზრუნველყოფილია:

ა) იპოთეკის ხელშეკრულებით;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ ფარავს შპს კაპიტალექსპრესის მოთხოვნებს, შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით აღსრულება მიაქციოს „მსესხებლის“ სხვა ქონებაზე.

მუხლი 6. კრედიტის მიღების წესი

6.1. „მსესხებელი“ ვალდებულია არ დაუმალოს და აცნობოს შპს კაპიტალექსპრესს მისაღებ კრედიტთან დაკავშირებული ყველა გარემოების შესახებ, რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელობა შპს კაპიტალექსპრესისათვის შესაბამისი რისკების შეფასებისას ან/და რამაც შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა „მსესხებლის“ მიერ შპს კაპიტალექსპრესის წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 7. მსესხებლის განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

7.1. „მსესხებელი“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

7.1.1. გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების, „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების“ და ნებისმიერი განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება.

7.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ემუქრება „მსესხებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.

7.1.3. მის მიერ შპს კაპიტალექსპრესში წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არის სრული, უტყუარი და ზუსტი.

7.1.4. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, შპს კაპიტალექსპრესის ან სხვა ნებისმიერ მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, იძულების, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე. ამასთან, მისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი

პირობების შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება.

7.1.5. „მსესხებელს“ ესმის და აღიარებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არის მხარეთა შორის გაფორმებული წინასწარი შეთანხმება კრედიტის (სესხის) გაცემასთან დაკავშირებით და ეს ხელშეკრულება არ იქნება განხილული, როგორც კრედიტის გაცემის შეპირება შპს კაპიტალექსპრესის მიერ. შესაბამისად კრედიტის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ შპს კაპიტალექსპრესის ნებაზე. შპს კაპიტალექსპრესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს კრედიტის (სესხის) გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. წინამდებარე ხელშეკრულება არ ავალდებულებს შპს კაპიტალექსპრესს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს კრედიტი (სესხი).

7.1.6. მისთვის ცნობილია, რომ შპს კაპიტალექსპრესისთვის საკუთარი სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება კრედიტის (სესხის) მიღების მიზნით ან მისი ოდენობის გაზრდის ან/და შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არა დანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულების, მისი ნებისმიერი ნაწილის ან „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულების“ დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად ან/და გასაუქმებლად და წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამსიად დასჯად ქმედებას.

7.1.7. თუ შპს კაპიტალექსპრესი სხვაგვარ თანხმობას არ გასცემს, „მსესხებელი“ ვალდებულია არ დაიკისროს რაიმე დამატებითი ვალები ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები, რითაც საფრთხე შეექმნება მის ქონებას ან/და მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებებისა ან/და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ან სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

7.1.8. იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ შპს კაპიტალექსპრესში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: მისთვის ცნობილია რომ შპს კაპიტალექსპრესი არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

7.2. შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია „მსესხებლის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც „მსესხებელი“ ვალდებულია შპს კაპიტალექსპრესის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

7.3. „მსესხებელი“ ვალდებულია დაიცვას „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით“ დადგენილი მიზნობრიობა და გამოიყენოს კრედიტის თანხა მხოლოდ „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ დადგენილი მიზნისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.4. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ შპს კაპიტალექსპრესი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მითითებული განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია შპს კაპიტალექსპრესის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე, მათ შორის კრედიტის (სესხის) გაცემაზე ცალმხრივად უარის სათქმელად ან/და ხელშეკრულების ცალმხრივად შესაწყვეტად. ასეთ შემთხვევაში „მსესხებელი“ ვალდებულია დააბრუნოს ამ ხელშეკრულების ან/და „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების“ ფარგლებში შპს კაპიტალექსპრესისაგან მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელის და დაკისრებული პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან

გამომდინარე დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 8. საპროცენტო სარგებლის განაკვეთი. კრედიტის და საპროცენტო სარგებლის გადახდის წესი

8.1. კრედიტით სარგებლობისათვის შპს კაპიტალექსპრესი „მსესხებელს“ უწესებს სარგებლის წლიურ საპროცენტო განაკვეთს, რაც არის ამ კრედიტით სარგებლობის საფასური.

8.2. „მსესხებელი“ ვალდებულია გადაუხადოს შპს კაპიტალექსპრესს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით“ განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით.

8.3. პროცენტი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.

8.4. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის“ პირობებით შეიძლება დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

8.5. შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია ქვეყანაში ინფლაციის დონის, სავალუტო რისკის გაზრდის ან/და საერთო ეკონომიკური ვითარების შეცვლის გათვალისწინებით ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი „მსესხებლისათვის“ წინასწარ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალიწინებული წესით შეტყობინების საფუძველზე. ახალი საპროცენტო განაკვეთი დაირიცხება ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალიწსინებული წესით ,,მსესხებლისათვის“ ცვლილების მიღების შესახებ შეტყობინების ჩაბარებიდან მე-5 დღის მომდევნო დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ „მსესხებელი“ არ ეთანხმება გაზრდილ საპროცენტო განაკვეთს, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შპს კაპიტალექსპრესს და 5 სამუშაო დღის განმავლობაში ვადამდე დაფაროს მიღებული კრედიტი დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად. ამ შემთხვევაში „მსესხებელს“ არ დაეკისრება პირგასამტეხლო (საკომისიო) კრედიტის ვადამდე დაფარვისათვის.

8.6. შპს კაპიტალექსპრესს მხრიდან საპროცენტო განაკვეთის „მსესხებლის“ სასარგებლოდ შეცვლა არ საჭიროებს „მსესხებლის“ დამატებით აქცეპტს. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი დაირიცხება ცვლილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ექვემდებარება გადახდას ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

8.7. „მსესხებელი“ კრედიტის და საპროცენტო სარგებლის დაფარვას განახორციელებს შპს კაპიტალექსპრესთან შეთანხმებული გრაფიკის დაცვით, რომელიც დაერთვის „შემადგენელ საკრედიტო ხელშეკრულებას“ და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.8. „მსესხებელი“ აცხადებს თანხმობას კრედიტ(ებ)ის გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო(ები) (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ კრედიტის ყოველთვიური პროცენტი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს შპს კაპიტალექსპრესის შეხედულებით.

8.9. ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ან/და გადახდის გრაფიკით შეთანხმებული გადასახდელი თანხები გადახდილია ხელშეკრულებაში ან/და გადახდის გრაფიკში მითითებულ ვადებში. თუ „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ან/და გადახდის გრაფიკით დადგენილი მორიგი გადახდის დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების ან/და უქმე დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო (პირველი) სამუშაო დღისა.

მუხლი 9. პირგასამტეხლო, მისი დარიცხვის, გადახდის და დაფარვის წესი

9.1. თუ „მსესხებელი“ დააგვიანებს ან არ გადაიხდის „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ან/და კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში კრედიტის (სესხის) ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს ან/და მომსახურების საკომისიოს შპს კაპიტალექსპრესი

უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში „მსესხებელი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის (როგორც სრული, ასევე არასრული) „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ოდენობით მაგრამ არაუმეტეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალიწინებული ოდენობისა.

9.2. მხარეთა შეთანხმებით კრედიტის ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი ან/და მომსახურების საკომისიო შეიძლება დაიფაროს „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ან/და კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც, მაგრამ ამ შემთხვევაში შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში „მსესხებელი“ ვალდებულია გადაიხადოს კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინსწრებით გადახდის პირგასამტეხლო „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალიწინებული ოდენობისა.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მსესხებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (კრედიტის და სხვა გადასახდელების გადახდისაგან).

მუხლი 10. უზრუნველყოფა

10.1. ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების“ საფუძველზე წარმოშობილ ყველა ვალდებულებას.

10.2. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იპოთეკის საგნის ღირებულება შემცირდება ან წარმოიქმნება იპოთეკის საგნის ღირებულების შემცირების საშიშროება ან იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ შეტანილია სარჩელი, რომლითაც მოთხოვილია იპოთეკის საგანზე (ან მის ნაწილზე) საკუთრების უფლების შეწყვეტა ან შეზღუდვა შპს კაპიტალექსპრესისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ამ შემთხვევაში შპს კაპიტალექსპრესს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა დამატებითი ქონების იპოთეკით დატვირთვა. „მსესხებელი“ ვალდებულია შპს კაპიტალექსპრესს მიერ განსაზღვრულ ვადაში შპს კაპიტალექსპრესს იპოთეკით დასატვირთად დამატებით გადასცეს სხვა ქონება, ან წარმოადგინოს შპს კაპიტალექსპრესისთვის მისაღები ვალდებულების სხვა უზრუნველყოფა.

10.3. „მსესხებლის“ მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების ვადამდელი დაკმაყოფილება.

10.4. შპს კაპიტალექსპრესის მიმართ არსებული „მსესხებლის“ ვალდებულება (კრედიტი, პროცენტი, მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო, ზიანი, სასამართლო და სააღსრულებლო ხარჯები და სხვა) „მსესხებლის“ მხრიდან მესამე პირს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ შპს კაპიტალექსპრესის წერილობით თანხმობით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. შპს კაპიტალექსპრესის უარი მესამე პირისათვის გადასაცემად გამორიცხავს ვალის გადაკისრებას მესამე პირზე.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების დარღვევა

11.1 ხელშეკრულების პირობები დარღვეულად ჩაითვლება თუ:

11.1.1. კრედიტით სარგებლობისას „მსესხებელი“ ვერ გადაიხდის „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ან/და გადახდის გრაფიკით დადგენილი კრედიტის ძირითადი თანხის ნებისმიერ ნაწილს ან/და მასზე დარიცხულ პროცენტს ან/და მომსახურების საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, თუ ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 14 (თოთხმეტი) სამუშო დღის განმავლობაში;

11.1.2. „მსესხებელი“ ვერ შეასრულებს „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ კრედიტის მიზნობრიობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11.1.3. „მსესხებელი“ ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით ან/და „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ დადგენილ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას ან/და პირობას ან „მსესხებელსა“ და შპს კაპიტალექსპრესს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

11.1.4. „მსესხებლის“ ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან იქნება არასწორი.

11.1.5. „მსესხებლის“ მოქმედება მიმართულია შპს კაპიტალექსპრესის მოტყუებისკენ ან აყენებს მას ზიანს.

11.1.6. ნებისმიერი გარემოების არსებობა საფრთხეს უქმნის „მსესხებლის“ მიერ ხელშეკრულებით/შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას (მათ შორის სააღსრულებლო, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმისწარმობის დაწყება, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა).

11.1.7. თუ სასამართლო გადაწყვეტილების, ან სახელმწიფო ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე;

11.1.8. განადგურდა, დაზიანდა ან ღირებულება შეუმცირდა უზრუნველყოფის საგნ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შპს კაპიტალექსპრესისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ შეიცვალა დადგენილი წესით უზრუნველყოფის საგანი:

ა) უზრუნველყოფის საგანი გასხვისდა, გაიყო, გაერთიანდა ან სხვაგვარად გარდაიქმნა შპს კაპიტალექსპრესის წინასწარი თანხმობის გარეშე;

ბ) უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე არღვევს უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებებს.

11.1.9. „მსესხებელი“ შეწყვეტს, ან თუ ნებისმიერი სხვა მიზეზით შეუწყდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავის დამსაქმებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა, რომელიც გახდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი.

11.1.10. „მსესხებელი“ შპს კაპიტალექსპრესის მიერ დადგენილ ვადაში არ წარუდგენს შპს კაპიტალექსპრესს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნილ ინფორმაციას.

11.2. ამ მუხლის 11.1. პუნქტში აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია ნებისმიერი შეზღუდვის გარეშე:

11.2.1. ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება „მსესხებლისათვის“ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე და მოსთხოვოს მას კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა, რაც არ ნიშნავს შპს კაპიტალექსპრესისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას ან/და შელახვას.

11.2.2. უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს „მსესხებელი“ გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს შპს კაპიტალექსპრესის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი

„მსესხებელთან“ და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე მიიღოს შპს კაპიტალექსპრესის კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში „მსესხებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შპს კაპიტალექსპრესის წარმომადგენლის დაშვება უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესამოწმებლად ან/და თავისი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

11.3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, შპს კაპიტალექსპრესის მიერ ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნისას, თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება

მოთხოვნაში მითითებულ ვადაში და მოცულობით, შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგანზე (საგნებზე), ან მოახდინოს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია სპეციალისტის მეშვეობით იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნის (საგნების) რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი ამ ხელშეკრულებით ან „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით" გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად დასაფარად, „მსესხებელს" ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ ასეთ ნაშთზე. იგივე წესი ვრცელდება იმ ხარჯებსა და დანახარჯებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის საგნის (საგნების) და/ან სხვა ქონების რეალიზაციის პროცესში.

მუხლი 12. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

12.1.1. მხარეების ურთიერთშეთანმებით.

12.1.2. „მსესხებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას.

12.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 და მე-11 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

12.1.4. ხელშეკრულებით ან/და შესაბამისი დანართებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

12.3.1. „მსესხებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ (თუ შპს კაპიტალექსპრესმა არ დაუდგინა რაიმე სხვა ვადა) შეასრულოს ყველა თავისი ფინანსური ვალდებულება შპს კაპიტალექსპრესის წინაშე, კერძოდ დააბრუნოს კრედიტის ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

12.3.2. შპს კაპიტალექსპრესი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისგან მსესხებლის წინაშე.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეტყობინება ,,მსესხებელს" შესაძლოა გაეგზავნოს:

ა) მის მიერ მითითებულ მისამართზე;

ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

გ) მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების სახით;

13.2. ,,მსესხებლის" მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არცერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე.

13.3. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ ,,მსესხებელს" ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

13.4. ,,მსესხებელი", ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან.

13.5. 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს გამსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და მსესხებელი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ გამსესხებელმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

13.6 მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრლებაში გაცხადებული მისამართის (საცხოვრებელი, ელ. ფოსტა, ტელ. ნომერი) ცვლილების შემთხვევასი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს გამსესხებელს, წინაარმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებით გაცხადებულ მისამართზე გაგზავნილი გზავნილი ითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულებასთან ან/და მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება მხარეებს შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

14.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებასთან ან/და მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის ან/და უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მხარეებს შორის ამგვარი დავის წარმოშობიდან 15 დღის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

14.4. ამ ხელშეკრულების 7.5. პუნქტის შესაბამისად, გამსესხებლის სასარგებლო მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

14.5. მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების 14.3.და 14.4 პუნქტით განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, ,,გამესეხებელი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს. კლიენტი სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში, ხოლო სადაო საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს შპს ,,დავების განმხილველ ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი), ან მისი სამართალ მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში, საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, განიხილება და საბოლოოდ წყდება ერთი არბიტრის მიერ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „დავების განმხილველ ცენტრის“ საქმის წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია (საქართველო, თბილისი) DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-2 სართული, ოფისი 11.

ვებგვერდი: (WWW.DRC.GE).

მხარეები თანხმდებიან, დავა ონლაინ საარბიტრაჟო ფორმით განიხილონ.

მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო განხილვისას, როგორც საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ ინფორმაცია, ასევე საარბიტრაჟო განხილვის პროცესში ნებისმიერი გზავნილი, შეტყობინება, დოკუმენტი მიიღონ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე:

1. შპს კაპიტალექსპრესი - contact@capitalexpress.ge
2. მსესხებელი – ელ-ფოსტა

მხარეები ვალდებულებას იღებენ, მუშა მდგომარეობაში შეინარჩუნონ მითითებული ელექტრონული ფოსტა, რეგულარულად შეამოწმონ და, ასევე, არაუფლებამოსილ პირებს არ გამოაყენებინონ ის.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე ცვლის ელექტრონული ფოსტის მისამართს ან ვერ იყენებს მითითებულ ელექტრონულ ფოსტას, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო, თუ საარბიტრაჟო განხილვა დაწყებულია, ასევე აცნობოს DRC-ის სამდივნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ ნეგატიურ შედეგზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების/გზავნილის გაგზავნამ.
ელექტრონული ფოსტის შეცვლის ან მისი გამოყენების შეუძლებლობის შესახებ შეტყობინების მეორე მხარისათვის, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შემდეგ ასევე DRC-ს სამდივნოსათვის მიწოდებამდე, ზემოაღნიშნულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების/გზავნილის გაგზავნა განიხილება შესაბამისი მხარისათვის გზავნილის/შეტყობინების სათანადო წესით მიწოდებად ონლაინ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერი მიზნისათვის.
მხარეები თანხმებიან, რომ ზეპირი მოსმენა შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არბიტრი მიიჩნევს აუცილებლად.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია კაპიტალექსპრესის პრეტენზიების სამსახურში: ა) ზეპირი ფორმით - ორგანიზაციის ნებისმიერ სერვის ცენტრში წარდგენით ან ცხელი ხაზის (+99532 2430432) საშუალებით; ბ) წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფორმით, - ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე: (contact@capitalexpress.ge) წერილის გაგზავნით. პრეტენზია უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მისი შინაარსი გასაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციას უფლება აქვს მსესხებელს მოსთხოვოს პრეტენზიის დაზუსტება ან მისი წერილობით წარმოდგენა. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე (+99532 24320432). წერილობით პრეტენზიაზე ორგანიზაცია მსესხებელს გაუგზავნის პასუხს პრეტენზიის აღრიცხვიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.
15.2. (ძალადაკარგულია)
15.3. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წამომადგენლების მიერ., მხარეებს უფლება აქვთ ამ პუნქტის მიზნებისათვის გამოიყენონ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები (ელ. ფოსტა). ამ ხელშეკრულებაში მითითებული ელ. ფოსტის მეშვობით შესაძლოა მხარეს გაეგზავნოს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ელ. ფოსტის მეშვეობით გადაგზავნილ შეთანხემბაზე მეორე მხარის დასტური განიხილება მხარის ნების გამოვლენად და შეთანხმება შედის ძალაში. ამასთან, კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილება არ საჭიროებს კლიენტის (მეორე მხარის) თანხმობას.
15.5. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.
15.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს. ასეთი დანართებია: „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებ(ები)ა“ თანდართული გრაფიკებით, ასევე უზრუნველყოფის შესახებ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ან დაიდება „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

15.7 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე
15.8. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შპს კაპიტალექსპრესს, ხოლო ერთი გადაეცემა მსესხებელს.

მუხლი 16. ინფორმაცია მხარეთა შესახებ

გამსესხებელი

მსესხებელი
მსესხებლის რეკვიზიტები

შპს კაპიტალექსპრესი
ს/კ: 404432028
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თამარ
მეფის გამზ.N7
ტელეფონის ნომერი: 2 430432
ელ. ფოსტა: contact@capitalexpress.ge
სს „თი ბი სი ბანკი“
ბ/კ: TBCBGE22 ა/ა: GE30TB7780636080100003

შპს კაპიტალექსპრესის წარმომადგენელი
_____